



1 ივლისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო განყოფილების II კურსის მაგისტრანტთა მიერ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გავლილი პრაქტიკის შედეგად შესრულებული ნაშრომების პრეზენტაცია. 1 თვის განმავლობაში მაგისტრანტებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკულად ემუშავათ XVII-XVIII სს-ების უმნიშვნელოვანეს ხელნაწერებზე – სულხან-საბა ორბელიანისა და დავით

გურამიშვილის ავტოგრაფულ ნუსხებზე, დაუფლებოდნენ მათი აღწერისა და კოდიკოლოგიური ანალიზის საქმეც. მაგისტრანტთა შრომებს მაღალი შეფასება მისცეს სსუ-ის სამაგისტრო განყოფილების ხელმძღვანელმა, ქ-მა მარიამ მირესაშვილმა, პროფესორმა მერაბ ნაჭყებამ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, პრაქტიკის მენტორმა, ქ-მა ნესტან ჩხიკვაძემ.

ნესტან ჩხიკვაძე: `არ შემიძლია არ აღვნიშნო ის დიდი მონდომება და ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს ახალგაზრდებმა ხელნაწერებზე მუშაობის დროს. ვფიქრობ, ამგვარი დამოკიდებულება მათი მომავალი პროფესიული დაოსტატების საწინდარია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ყოვლმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს დაინტერესებული ახალგაზრდა თაობის პროფესიულ ზრდას. სწორედ ამ მიზნითა სცენტრმა დააწერა კ.კეკელიძისა და ილ. აბულაძის სახელობის სტიპენდიები მაგისტრანტებისა და ბაკალავრებისათვის; ახალგაზრდებს საშუალება აქვთ 1 წლის განმავლობაში გაიარონ პრიფესიული სტაჟირება ცენტრის სხვადასხვა დეპარტამენტში. სწორედ 30 ივნისს, ცენტრის საიუბილეოდღეს, I თაობის სტაჟიორებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციაცა და მთელი კოლექტივიც ორიენტირებულია სტიმულირება გაუწიოს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმით დაინტერესებულ ახალგაზრდებს. ეს ჩვენი ცენტრის 50 წლიანი ტრადიციაა. სწორედ ამიტომაც თქვენი მაგისტრანტების მონდომებისა და ინტერესის ჯილდოდ, გთხოვთ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისგან საჩუქრად მიიღოთ „მცხეთური ხელნაწერის“ ანუ სულხან-საბა ორბელიანისეული გამოცემული ბიბლიის ხუთტომეული; ცენტრის პროექტი: „ქართული ხელნაწერი წიგმნი (ვებგვერდის შექმნა)“ კი წარმოგიდგინთ ელექტრონულ ფოტოგალერეას „ქართული ხელნაწერი“.